ეკონომიკა და ბიზნესი, 2021, №2, გვ. 120-133
ECONOMICS AND BUSINESS, 2021, №2, pp. 120-133

აგროტურიზმის განვითარების უცხოური გამოცდილება და მისი გამოყენების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში (ლანჩხუთის მაგალითზე)

მურმან ცეცხლაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
murman.tsetskhladze@bsu.edu.ge

სალომე სულაბერიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
salome.sulaberidze@list.ru

ნაშრომში გაანალიზებულია აგროტურიზმის განვითარების უცხოური გამოცდილება და მისი გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში, კერძოდ, გურიის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში - ლანჩხუთში.

ლანჩხუთელი ფერმერების და, ზოგადად, ლანჩხუთელთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შესაძლებელია აგროტურიზმში უცხოური გამოცდილების ლანჩხუთის პოტენციურ შესაძლებლობებთან მისადაგებით, კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ახალი ტექნოლოგიების ტრადიციულ მეთოდებთან სინთეზირებით, მომსახურების სერვისის გაუმჯობესება-დახვეწით, პროდუქციის დამზადება-გადამუშავება-შეფუთვა-მიწოდების მოწინავე მეთოდების დანერგვა-სრულყოფით.

ფერმერებისათვის უფრო მომგებიანი იქნება, თუ ისინი გახსნიან საკუთარ მაღაზიებს, საფუნთუშეებს, რესტორნებს, სადაც მათ მიერ მოწეული ნატურალური პროდუქტისაგან დამზადდება კერძები, გაიყიდება ნედლი პროდუქტი და ნახევარფაბრიკატები, ვთქვათ, ძრის ნაწარმი და სხვ. ფერმერი ორიენტირებული უნდა იყოს როგორც პროდუქციის ხარისხზე, ასევე მის ჩაოდენობაზე. ამისათვის აუცილებელია, პირველ რიგში, განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აგროტურისტული რესურსები, შესწავლილ იქნეს ადგილობრივი ფერმერული მეურნეობები და მათი აგროტურისტული საქმიანობა.

უცხოური გამოცდილების გათვალისწინება, ადგილობრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება და აგროტურიზმის სახელმწიფო მხარდაჭერა შესაძლებლობას იძლევა ერთიან სივრცეში შეიქმნას სასურველი ტურისტული გარემო, განვითარდეს სოფლის მეურნეობა, ტურიზმის სხვადასხვა მიმართულება, ინფრასტრუქტურა, გასართობი და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, რაც კიდევ უფრო გაზრდის მოსახლეობის დასაქმებას და გააუმჯობესებს რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობას.

საკვანძო სიტყვები: *ფერმერული მეურნეობა, აგროწარმოება, აგროტურიზმი, აგროტურისტი, აგროტურისტული მარშრუტი, მეჩაიეობა, მეფუტკრეობა, ტურიზმი.*

JEL Codes: *L83, N50, P32, Q10*

შესავალი

აგროტურიზმის განვითარების პრობლემები მეტ-ნაკლებად შესწავლილია ქართველი და უცხოელი მეცნიერ-მკვლევარების მიერ. ქართველ ავტორთაგან აღსანიშნავია ე. ხარაიშვილის, მ. მეტრეველის, ლ. ყორღანაშვილის, ი. შალამბერიძის, გ. შანიძის, ნ. ჯაბნიძის, ც. ცეცხლაძის, ნ. ხახუბიას, ნ. სამჭკუაშვილის, ი. ახალბედაშვილის და სხვათა ნაშრომები. თუმცა, შესასწავლი ჯერ კიდევ ბევრია.

ნაშრომის ძირითადი მიზანია მსოფლიო გამოცდილების საფუძველზე წარმოვაჩინოთ აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა ლანჩხუთელი ფერმერებისათვის.

თემის აქტუალურობა განაპირობა გურიის რეგიონში აგროტურიზმის განვითარების პერსპექტიულობამ – ხელსაყრელი ნიადაგ-კლიმატური პირობები, ზომიერი ჰავა, უხვი ჰიდროლოგიური რესურსები იძლევა მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, კენკროვანი ხილის წარმოება და სხვ.) განვითარების შესაძლებლობას.

ფერმერული მეურნეობების ჩართვა ტურისტულ საქმიანობაში ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ამას ადასტურებს სხვა ქვეყნების გამოცდილებაც, კერძოდ, ევროპაში აგროტურების აქტიური განვითარების განმაპირობებელ ფაქტორებს შორის გადამწყვეტი იყო რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების აუცილებლობა, მათი პოტენციალის სრულყოფილად ათვისების შესაძლებლობები, დასაქმების დონის ამაღლება.

ეკონომიკური თვალსაზრისით, აგროტურიზმის განვითარების მხარდაჭერა ძირითადად განაპირობა ფერმერთა შემოსავლების გაზრდის პერსპექტივამ. ცნობილია, რომ სოფლის შრომისუნარიანი მოსახლეობის ქალაქებში გადინებას სოფლის მოსახლეობის შემცირება და სოფლის მეურნეობიდან შემოსავლების კლება მოჰყვა, ამასთან, ბაზარზე შეიქმნა ნატურალური პროდუქტების დეფიციტი. ტურისტების სურვილმა – დაესვენათ ბუნებრივ გარემოში და შეძლებოდათ ნატურალური პროდუქტების დაგემოვნება, ხელი შეუწყო სოფლიდან მიგრაციის პროცესის შემცირებას და აგროტურიზმის, როგორც სპეციფიკური დარგის ჩამოყალიბება-განვი-

თარებას, რამაც დასაქმების ახალი შესაძლებლობა მისცა ადგილობრივ მოსახლეობას და გააუმჯობესა მათი ცხოვრების პირობები.

უცხოური გამოცდილებიდან გამომდინარე, საგულისხმოა, რომ აგროტურისტები მხოლოდ სოფლის მეურნეობით არ ინტერესდებიან. ტურიზმის ამ სახეობის მიმდევრები ხშირად აქტიური და გამოცდილი მოგზაურები არიან. ამიტომ, მასპინძლებმა მათ უნდა შესთავაზონ ახლომდებარე ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება, ბუნებაში გასეირნება და სხვა აქტივობა.

ამრიგად, კვლევის ობიექტად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის არჩევა შესაძლებლობას გვაძლევს, შევისწავლოთ ამ რეგიონში აგროტურიზმის განვითარების პოტენციალი, ფერმერულ მეურნეობათა საქმიანობის გამრავალფეროვნების შესაძლებლობები და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცილების გათვალისწინებით, განვსაზღვროთ საქართველოში აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები.

აგროტურიზმის მნიშვნელობა და მისი ჩამოყალიბების სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები

აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის დიდ ინდუსტრიულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა. სოფელში დასვენების მსურველთა მნიშვნელოვანი ნაწილი, სოფლიდან ინდუსტრიულ ქალაქებში ჩასული მოსახლეობის მესამე თაობა იყო, რომლებიც არჩევდნენ მიმზიდველ, მყუდრო რეგიონებს საზღვარგარეთ, იხდიდნენ ქირას. შესაბამისად, ხოლო მასპინძელ ოჯახებს უჩნდებოდათ შემოსავალი.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა გაამარტივა დასვენება ფერმერულ მეურნეობებში. მაგ.: 1920-იანი წლებიდან ავტომობილების გამოგონებამ და ფერმაში ტექნიკური სიახლეების დანერგვამ, გაზარდა შრომის მწარმოებლურობა, გამოათავისუფლა მუშახელი და გაამარტივა შრომა. 30-40-იან წლებში, დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აგროტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდა. XX საუკუნის 50-70-იან წლებში ევროპის ცალკეული რეგიონის სოფლებსა და ქალაქის გარეუბნებში დაიწყო ტურისტული ნაკადების ზრდა. (კეკოშვილი... 2016,66).

თანამედროვე ეტაპზე ევროპაში აგროტურიზმი კარგად არის განვითარებული. ამ დარგს ეკონომიკური კრიზისიც თითქმის ვერაფერს აკლებს. მაგ., როცა იტალიაში ეკონომიკურმა კრიზისმა შეამცირა სხვადასხვა სფეროს შემოსავალი, აგროტურიზმში ჩართული ფერმერების შემოსავალი უცვლელი დარჩა (ტუხაშვილი 2014,24). აგროტურიზმი, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის შეფასებით, ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების ხუთეულში შედის და პოპულარობის მიხედვით,

მეორე ადგილზეა საზღვაო ტურიზმის შემდეგ. იმავე ორგანიზაციის მონაცემებით, აგროტურიზმიდან შემოსული თანხა ევროპაში მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 20-30%–ს შეადგენს.

.ევროპის აგროტურიზმის ფედერაციის (EuroGites) მონაცემებით, ევროპის 27 ქვეყანაში განთავსებულია 100 ათასზე მეტი ტურისტული ობიექტი. ბრიტანელი ფერმერების დაახლოებით 60%-ის ძირითადი შემოსავალი აგროტურიზმიდან შემოსული თანხაა. ა შ შ–სა და პოლონეთში კი ამ ბიზნესით ფერმერების 13% ცხოვრობს (ქყონიძე... 2019,2).

ევროპის ქვეყნებში აგროტურიზმის წარმატებით განვითარება ძირითადად განპირობებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-გადამუშავების ხელშეწყობით, რაც საქართველოში და კერძოდ, გურიის რეგიონში, ნაკლებად ხდება. თუმცა, აუცილებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და აგროტურიზმის ერთობლივად განვითარება, რაც, თავის მხრივ, შექმნის პირობებს სოფლის მოსახლეობამ შეძლოს საკუთარი პროდუქტის რეალიზაცია და დამატებითი შემოსავლის მიღება. დამატებითი სამუშაო ადგილების გაჩენის შემთხვევაში კი, ადგილობრივ მოსახლეობას აღარ მოუწევს სამუშაოს ძიება საზღვარგარეთ, რაც შეამცირებს მიგრაციას. აღნიშნულ პროცესებს მოჰყვება ინფრასტრუქტურის განვითარება და ცხოვრების დონის ამაღლება.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა უდავოა, რასაც ადასტურებს სხვა ქვეყნების გამოცდილება ამ დარგში.

აგროტურიზმის განვითარების მოდელები და ტენდენციები მსოფლიოში

აგროტურიზმის მიმართულებით XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიოში გამოიკვეთა ლიდერი ქვეყნები, რომელთა შორისაა იტალია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, კვიპროსი, საბერძნეთი და სხვ. თითოეულ ქვეყანას მისთვის დამახასითებელი თავისებურება და აგრორესურსი გააჩნია, რითაც განსაკუთრებით საინტერესოა ვიზიტორებისათვის (ლობჟანიძე, 2010).

დღეისათვის შეიძლება გამოიყოს აგროტურიზმის განვითარების რამდენიმე მოდელი:

პირველი მიმართულების მოდელები დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის, სადაც აგროტურიზმი ვითარდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების პარალელურად. ეს მიმართულება დამახასიათებელია საფრანგეთის, იტალიისა და ნიდერლანდებისათის. (ქველაძე ... 2013, 485).

აგროტურიზმის ფრანგულ მოდელში სოფლის ტურიზმის ძირითადი ელემენტია კულინარია და მეღვინეობა. ამ მოდელის მიხედვით ტუ-

რისტებს სთავაზობენ ცალკე სახლს, ადგილობრივი სამზარეულოს სრულ ნაკრებს და, რა თქმა უნდა, მარნის ღვინის დაგემოვნების შესაძლებლობას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი ფერმერი საკუთარი მარკის ღვინოს აწარმოებს, მრავალფეროვნება დიდია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ფრანგული სოფლის ტურიზმი მხოლოდ ღვინოს არ ეფუძნება, პოპულარულია კონიაკისა და ყველის ფერმერული ტურებიც.

აგროტურიზმის იტალიური მოდელი ფრანგულ მოდელს ჰგავს, მაგრამ საკუთარი თავისებურებებიც ახასიათებს. კერძოდ, კულინარიულ ტურებთან ერთად სთავაზობენ გასართობ ტურებს, რომლის ძირითადი მიმართულებაა ისტორიული ღირშესანიშნაობების დათვალიერება. გარდა ამისა, პოპულარულია ფიზიკური დატვირთვების - სპორტის სხვადასხვა სახეობის შეთავაზება (შარაბიძე, 2019:17).

სწორედ ასეთი ტრადიციული მოდელები ჩაისახა და აქტიურად ვითარდება ევროპაში. თუმცა, არ შეიძლება ითქვას, რომ ცალკეულ ქვეყანაში მხოლოდ ერთი კონკრეტული მოდელი არსებობს. უბრალოდ, ფერმერული მეურნეობების დიდი ნაწილი ტრადიციულ მოდელს იყენებს. ამასთან, მაგალითად გერმანიაში, ბრიტანული მოდელით მომუშავე ფერმებიც, ზოგჯერ შერეული ტიპიც. ბუნებრივია, კონკრეტული გადაწყვეტილება მოდელის შერჩევის თაობაზე ტურისტების მოთხოვნებზეა დამოკიდებული (შარაბიძე, 2019,18).

აგროტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, საფრანგეთსა და იტალიას არ ჩამოუვარდება ნიდერლანდები. ის აგროტურიზმის დარგის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან ნიდერლანდები მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტრადიციული და მსხვილი მწარმოებელია.

სოფლები ნიდერლანდებში – ეს არის დაბალი სახლები ფერმასთან ერთად. ფერმაში დასვენება და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის უახლესი ტექნოლოგიებით წარმოებას უკავშირდება.

ნიდერლანდებში აგროტურისტული საცხოვრებლის სახელმწიფო სტანდარტი არ არსებობს. მომსახურების ხარისხზე თავად აგროტურიზმის ობიექტების მფლობელები ზრუნავენ. ამასთან, მხოლოდ ნიდერლანდების აგროტურიზმისაა დამახასიათებელი „ყველის სახლი“. ეს არის კერძო სახლი, კოტეჯი ან ფერმა, სადაც სტუმარს საშუალება ეძლევა დატკბეს სოფლის იდილიური გარემოთი და ამავე დროს აითვისოს ცნობილი ჰოლანდიური ყველის დამზადების ტექნოლოგია. სტუმარს აცნობენ ყველის ხარშვის ყველა საიდუმლოს, რის საფუძველზეც მას შეუძლია მისთვის სასურველი რეცეპტით ყველის წარმოება.

ნიდერლანდებში აგროტურიზმის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეაქვთ აგრო და ეკოტურიზმის ხელშეწყობის ევროპული ცენტრის

ასოციაციებს (ECEAT). თავად ნიდერლანდების აგროტურისტული სახლები და კოტეჯები სოფლის სასტუმროს ჰგავს, სადაც ტურისტს სთავაზობენ საცხოვრებელ ნომერს და საუზმეს. ამასთან, დამსვენებელს შესაძლებლობა ეძლევა მოუაროს ცხვარს, ძროხას ან ღორს. ასეთი კარ-მიდამოები პოპულარულია ოჯახით დასვენების მსურველთა და მეგაპოლისის ხმაურით გადაღლილ ვიზიტორებს შორის (შარაბიძე, 2019, 48).

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ქვეყნებში აგროტურიზმის განვითარება დაკავშირებულია სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი წარმოების განვითარებასთან. ვფიქრობთ, ანალოგიური ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვანი იქნება ლანჩხუთის აგროტურიზმისთვისაც, რადგან თითო-ოროლა საწარმო და გადამამუშავებელი ობიექტი, ისიც მომხმარებელთა მცირე სეგმენტზე გათვლილი, მცირე შემოსავლის მომცემია. ასევე, აუცილებელია სოფლის მეურნეობის საწარმოების აღდგენა-განვითარება და მისი დაკავშირება ტურიზმთან.

მეორე მიმართულების მოდელები დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც საერთაშორისო ტურიზმზე არიან სპეციალიზებულნი. მაგ., ასეთი ქვეყანაა კვიპროსი (ქველაძე ... 2013, 485).

კვიპროსში აგროტურისტული პროგრამა ამოქმედდა 1991 წლიდან მთავრობის სრული მხარდაჭერით. ამ პროგრამამ მოიცვა 270 სოფელი. მუშაობდნენ არქიტექტორები და რესტავრატორები, რათა ძველი იერი დაებრუნებინათ სოფლებისთვის. სოფლის მოსახლეობისა და იმ მესაკუთრეთათვის, რომლებმაც 1989 წლამდე სოფლად შეიძინეს უძრავი ქონება, გაიცა ინვესტიცია, რათა მათ დაეწყოთ მზადება აგროტურისტთა მისაღებად შეიქმნა კვიპროსის აგროტურისტული კომპანია - აგროტურისტული ობიექტების მფლობელთა ასოციაცია, რომელიც ორგანიზებულად უძღვება ერთიან მარკეტინგულ და სარეკლამო კამპანიას, ახორციელებს დაჯავშნის ცენტრალიზებულ სისტემას, უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის დამუშავებას და მის განთავსებას ერთიან ვებ-გვერდზე. ტურისტები ჩამოდიან ძირითადად ბრიტანეთიდან, ავსტრიიდან და გერმანიიდან (შარაბიძე, 2019,57). ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად ეხმარება იმ ოჯახებს, რომლებმაც სოფლად ტურისტების მიღება გადაწყვიტეს.

ვფიქრობთ, ლანჩხუთის სინამდვილეშიც აუცილებელია ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულებმა შეადგინონ აგროტურიზმის განვითარების გეგმა, ადგილზე გაეცნონ ფერმერების მუშაობას და დაეხმარონ არსებული პრობლემების გადაჭრაში.

აგროტურიზმის დაგეგმვა და განვითარება უნდა მოხდეს მდგრადი განვითარების სამი ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით:

- **ეკოლოგიური მდგრადობა** - უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების და ბიოლოგიური რესურსების ერთობლივ განვითარებას;
- **სოციალური და კულტურული მდგრადობა** - უზრუნველყოფს ისეთ მდგრადობას, რომლის დროსაც ადამიანების ცხოვრება, მათი ერთობლი-

ვი კულტურა და ფასეულობები ყოველმხრივ დაცულია, კულტურული თვითმყოფადობა შენარჩუნებული;

- **ეკონომიკური მდგრადობა** - უზრუნველყოფს განვითარების ეკონომიკურ ეფექტიანობას, როცა რესურსების გამოყენების არჩეული მეთოდი ამ რესურსების მომავალი თაობებისათვის გამოყენების გარანტიას იძლევა (ვადაჭკორია... 2011,154-155).

ამ მხრივ, საინტერესოა ლატვიის მაგალითი, სადაც აგროტურიზმი რეგულირდება მთავრობის დადგენილებით სოფლად ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის შესახებ, რომლის ძირითადი მიზანია სოფლის ტურიზმის სხვადასხვა სერვისის პროვაიდერთა შორის თანამშრომლობის განვითარება, მარკეტინგული აქტივობის წახალისება ტურისტების მოსაზიდად. ლატვიაში აგროტურიზმის შესახებ კანონი სახელმწიფოს ავალდებულებს თავისი წვლილი შეიტანოს სოფლის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, კულტურული გარემოს შენარჩუნებაში, ტურიზმისა და ეკოტურიზმის ხელშეწყობაში (ფხაკაძე 2020, 10-11).

მესამე მიმართულების მოდელები დამახასიათებელია ტროპიკული და განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც აგროტურიზმი ვითარდება სასოფლო-სამეურნეო პარკების საშუალებით. მაგ., მალაიზიის აგროტურიზმის ერთ-ერთი მთავარი ობიექტია ახალი ტიპის ბოტანიკური ბაღი-ქალაქი - შაჰ-ალამის სასოფლო-სამეურნეო პარკი. ის 1986 წელს გაიხსნა და ერთ-ერთი უდიდესი ბაღია მსოფლიოში. მისი ფართობი რამდენიმე ათას ჰა–ს შეადგენს. თვალწარმტაცი ტროპიკული ტყეებით, ხეხილისა და ბოსტნეულის პლანტაციებით. ბაღში არსებობს თემატური ზონები - სანელებლებისა და ორქიდეების, კაქტუსებისა და სოკოების ბაღები, ბამბუკების ტყე. შესაძლებელია თევზაობაც (შარაბიძე 2019,71-72).

მოყვანილი მაგალითიდან გამომდინარეობს, რომ სოფლად ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რეკრეაციული ზონებისა და პარკების შექმნას, რაც განაპირობებს ეკოლოგიურად სუფთა ტურისტული პროდუქტის მიღებას. ანალოგიური რამ შეიძლება მოეწყოს ლანჩხუთშიც, რაც შეიძლება ითვალიწინებდეს კოლხეთის ეროვნული პარკის (იმნათის უბნის) დათვალიერებას, კატერით გასეირნებასა და თევზაობას, აგრეთვე, იქვე, მახლობლად მცხოვრები გრიგოლეთის რომელიმე ფერმერის ოჯახში განთავსებასა და კვებას. აღნიშნული მოდელების გარდა, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით პოსტსაბჭოთა ქვეყნების, კერძოდ, ბელარუსის გამოცდილების შესწავლა: აგროტურიზმის განვითარება ბელარუსში 2004 წლიდან დაიწყო. 2006 წლისათვის ქვეყანაში უკვე 34 აგროტურისტული კარ-მიდამო იყო, დღეისათვის მათი რაოდენობა 1000-ს მიუახლოვდა. ბელარუსში აგროსასტუმროების კომფორტის დონის შეფასება მათთვის ვარსკვლავების მინიჭე-

ბის იდენტურია. ვარსკვლავების ნაცვლად ხდება „მამლაყინწების“ მინიჭება, რომელთა მაქსიმალური რაოდენობა ოთხია.

აგროტურიზმის განვითარების წარმატებული მაგალითია სოფელი კომაროვო. ამ სოფელში აღდგენილ იქნა ძველი თავადისეული სახლი, გაშენდა პარკი, მოეწყო ბლინების საცხობი. სტუმრებს იწვევენ ფოლკლორულ სტილში საღამოების მოსაწყობად, რუსულ აბანოში საბანაოდ, ბლინების დასაგემოვნებლად. აგრო კარ-მიდამო „კომაროვო“ დღეისათვის ბელარუსში ყველაზე პოპულარული ობიექტია, სადაც აგროტურისტებისათვის საცხოვრებლის ფართო არჩევანია. ტურისტებმა ღამის გასათევად შეიძლება აირჩიონ სოფლის უბრალო ქოხი, რომლის პატრონი ქსოვს კალათებს და აწყობს გასეირნებას ბაიდარებით მდინარე ნემანზე; ან კიდევ, ისარგებლონ მეთევზის საცხოვრებელში არსებული მომსახურების სრული კომპლექტით, (ბადეები, ანკესები და სხვ.) ასევე ველოსიპედსა და თოვლმავალს; ან კიდევ, სამსართულიანი კოტეჯებით - ეროვნული სამზარეულოთი, ხალხური ანსამბლების ანიმაციებითა და მეთუნეების ახელავის დემონსტრირებით.

ბელარუსი აგრარული ქვეყანაა მდიდარი ტრადიციებით, სადაც წარმართული წეს-ჩვეულებები გადახლართულია ქრისტიანულ რიტუალებთან. ამ თავისებურებას ფართოდ იყენებენ აგროტურების ორგანიზებისას (შარაბიძე 2019, 67-69).

ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარების ძირითად საფუძვლად თვალწარმტაცი ბუნება, ეროვნული ტრადიციები, უხვი და ნოყიერი ტრადიციული სამზარეულო, გულღია და სტუმართმოყვარე ხალხი მიიჩნევა, რაც ნიშანდობლივია გურიისათვისაც. მაგრამ აქაურ ფერმერებს არ აქვთ მოწყობილი შესაფერისი გარემო ტურისტების მისაღებად, ასევე– შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება ამ საქმიანობაში.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ფერმერები ტურისტებს გაუმასპინძლდნენ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის ნობათით, რისთვისაც საჭიროა როგორც სოფლის მეურნეობის განვითარება, ასევე სოფლის პროდუქციისა და მომსახურების ხარისხზე ორიენტირება. მომსახურების ხარისხში იგულისხმება როგორც ეკოლოგიურად სუფთა საკვების მიწოდება ტურისტებისათვის, ასევე განთავსების ობიქტში სრული კომფორტის შექმნა, მომსახურების პროცესის დახვეწა-გაუმჯობესება.

მაგალითად, მსოფლიოს ქვეყნებში, სადაც აგროტურიზმი მაღალ დონეზეა განვითარებული, ფერმერი ორიენტირებულია იმაზე, რომ ტურისტი დააინტერესოს თავის ფერმაში წარმოებული პროდუქტით. მაგრამ თუ იქ ფერმერები ამას აღწევენ შესაბამისად გამართული ინფრასტრუქტურით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჯერჯერობით არ არის თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი პირობები. მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, აღსადგენია სოფლის მეურნეობა, აგროწარმოება, რის

გარეშეც ვერ განვავითარებთ აგროტურიზმს და ვერ მივიღებთ სასურველ შედეგს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს აქვს აგროტურიზმის განვითარების კარგი შესაძლებლობები, თუმცა ვერ ხერხდება აგროტურიზმის განვითარების უცხოური გამოცდილების გამოყენება, რადგან ის მოითხოვს სახელმწიფო სტრუქტურებიდან მეტ ყურადღებას და დახმარებას.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარებაზე მსჯელობისას ასევე საინტერესოა აგროკულტურული მუზეუმების ისტორია. პირველად ის 1896 წელს ბუდაპეშტში დაარსდა, სადაც წარმოდგენილია უნგრეთის სოფლის მეურნეობის ისტორია დასაბამიდან დღემდე.

მისაბაძია ამ მხრივ დიდი ბრიტანეთი და განსაკუთრებით ირლანდია, სადაც სოფლის მეურნეობის 120 მუზეუმია ქვეყნის თითქმის ყველა წერტილში. აშშ–ში კი არსებობს ყველაზე დიდი ცენტრალური - ვაშინგტონის სოფლის მეურნეობის მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია 150-ზე მეტი ანტიკური ტრაქტორი, 1 000 ცალზე მეტი ისტორიული მანქანა და ათასობით ჰა–ზე გამოფენილია ექსპონატები, რაც წარმაჩენს ფერმერული მეურნეობის განვითარებას ბოლო 100 წლის განმავლობაში (საჩალელი... 2018,55).

ამის გათვალისწინებით, გურიის რეგიონში სასურველია შეიქმნას აგროკულტურული მუზეუმი, სადაც გურული ღვინის დაგემოვნების, ვაზის ისტორიისა და ღვინის დაყენების ტექნოლოგიის გაცნობის შესაძლებლობა იქნება ტურისტებისათვის. სასოფლო-სამეურნეო და აგრომუზეუმებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ როგორც საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში, ასევე ლანჩხუთში ადგილობრივი მოსახლეობისათვის აგროკულტურული ისტორიის დაცვასა და შენარჩუნებაში.

ისტორიულად ცნობილია, რომ ქართული ჩაის წარმატება გახდა რიზეში თურქული ჩაის პლანატაციების გაშენების ბიძგის მიმცემი, 1920-იან წლებში (კოჭლამაზაშვილი... 2015,12).

თურქეთში ჩაის წარმოება სწორედ ისტორიული ლაზეთის რეგიონშია განვითარებული. რიზე ამ ინდუსტრიის ცენტრია. თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე რიზე ოდესღაც ისტორიულ ქანეთს ეკუთვნოდა. მართალია, 1918-21 წლებში ერთა ლიგამ ქალაქი საქართველოს მიაკუთვნა, მაგრამ მასზე ქართული იურისდიქცია არ გავრცელებულა. 1921 წლიდან ის თურქეთის შემადგენლობაში მოექცა (ჯიმშელაძე 2019, 1).

თურქეთში ჩაი სუფრის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც ქართველებისათვის ღვინო. დილით ჩაის დაყენების რიტუალი, საღამოს ჩაის დალევის პროცესისაგან განსხვავდება. თურქეთში ჩაის თანხლებით სახელმწიფო საქმეებიც განიხილება. იქ ყოველწლიურად ხდება ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება და ნარგავების გაჯანსაღება. მსგავსი ღონისძიებები უნდა გატარდეს ლანჩხუთშიც, რადგან ჩაის პლანტაციების

რეაბილიტაცია, რაც საქართველოში (მაგ. სოფ. ჩიბათში) ხდება, მაინც ერთჯერადი და დროებითი ღონისძიებაა. ვფიქრობთ, რეალურად უნდა ვიზრუნოთ ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებაზე ისე, როგორც ამას აკეთებენ ჩაის მწარმოებელი კლასიკური ქვეყნები, სადაც ყოველწლიურად ხდება მთელი ნარგავების 2-3%-ის ამოძირკვა და ახალი პლანტაციების გაშენება მაღალპროდუქტიული ჯიშებით (სოხაძე ... 2018,60).

აღსანიშნავია ისიც, რომ ლანჩხუთში და საერთოდ, საქართველოში, ჩაის დაყენებისა და სმის მაღალი კულტურა არ არის ფეხმოკიდებული. შეგვიძლია გამოცდილება ამ მიმართულებით გავიზიაროთ ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი და სხვა, რადგან ტურისტს მომსახურების პროცესი ხიბლავს და აინტერესებს.

დასკვნა

როგორც კვლევები გვიჩვენებს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს აქვს მნიშვნელოვანი აგროტურისტული რესურსები, ოღონდ აუცილებელია მისი განვითარება სოფლის მეურნეობასთან მჭიდრო კავშირით, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისა და აგრობიზნესცენტრის კომუნიკაცია ადგილობრივ ფერმერებთან. სწორედ მათი საშუალებით უნდა მოხდეს ფერმერების ინფორმირება და ჩართულობა სასოფლო-სამეურნეო პროექტებში, რათა მიიღონ ფინანსური რესურსები მომავალში წარმატებული საქმიანობისათვის.

აგროტურიზმის უცხოური გამოცდილებისა და კვლევის შედეგების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ აუცილებელია საქართველოში ცალკეული მუნიციპალიტეტის დონეზე განხორციელდეს აგროტურიზმის დაგეგმვა და მართვა, რაც უნდა ითვალისწინებდეს როგორც ეკოლოგიურ და სოციალურ, ასევე ეკონომიკურ მდგრადობის პრინციპებს.

აგროტურიზმის განვითარების პოტენციალის გათვალისწინებით, საქართველოში და კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ვფიქრობთ, აუცილებელია გატარდეს შემდეგი ღონიძიებები:

5. სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროს ურთიერთკავშირით განვითარება;

6. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-გადამუშავების ობიქტების აღდგენა ან შექმნა;

7. ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შენარჩუნება, დაცვა, ბაღ-პარკების შექმნა;

8. აგროტურისტული მარშრუტების ორგანიზება, რითაც გათვალისწინებული იქნება ტურისტების როგორც ფერმერულ საქმიანობებში ჩართვა, ასევე დამატებითი შემეცნებითი თუ გასართობი ღონისძიებებით მათი განტვირთვა; ტურისტული პროდუქტის ორიენტირება როგორც რაოდენობაზე, ასევე ხარისხზე;

9. მარკეტინგული ღონისძიებების ორგანიზება და ფინანსური რესურსების მოზიდვა გრანტების, პროექტებისა და ინვესტიციების სახით და ა.შ.

ლიტერატურა:

- ბედიანაშვილი გ. - რეგიონალური სოციალურ-ეკონომიკური სისტემები და ქვეყნის ტერიტორიული სტრუქტურა ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამეწარმეო საქმიანობის მოდერნიზაციის კონტექსტში - რეგიონალური მიმოხილვა - სამეცნიერო მასალები-14(2018/2019), https://search.proquest.com/openview/8046330b21fa0fc6fc14a4ac6e46eb3b/1?pqorigsite=gscholar&cbl=2034462
- ვადაჭკორია მ., ოქროცვარიძე ა., ოქროცვარიძე ლ. (2011). ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი. თბილისი გვ. 154-155.
- კეკოშვილი დ., ბაკურაძე ნ. (2016). აგროტურისტული საქმიანობის უცხოური გამოცდილება და მისი რეალიზაციის პერსპექტივები საქართველოში. საქართველოს ტურიზმის ეროვნილი ადმინისტრაციის თბილისის კონფერენცია „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება". თბილისი, გვ. 66.
- კოჭლამაზაშვილი ი., კაკულია ნ. (2015). მეჩაიეობა საქართველოში: ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი.
- http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/TeaValueChainAnalysis_GEO.pdf/ ბოლო ნახვა 05.02.2021.
- ლობჟანიძე მ. (2010). აგროტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და გადაჭრის გზები. II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი". ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი.
- სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ტურისტების რაოდენობა 2019-2020 წ.წ. https://gnta.ge/ge/;
- საჩალელი ნ., ქობლიანიძე თ. ინოვაციები აგროტურიზმში. საქართველოს ტურიზმის ეროვნილი ადმინისტრაციის თბილისის კონფერენცია „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და სტრატეგიული მიზნები". თბილისი 2018, გვ. 55.
- სოხაძე ა., მიქანაძე გ., მოსიაშვილი თ. ჩაის ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თბილისის კონფერენცია „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და სტრატეგიული მიზნები".თბილისი 2018, გვ. 60.
- ტუხიაშვილი ე. „დამატებითი შანსი მცირე ფერმერებისთვის". გაზეთი „კვირის პალიტრა". N 5, თბილისი. 2014.
- ფხაკაძე თ. (2020). აგრარული ტურიზმის ხელშეწყობა. https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/29156 / ბოლო ნახვა 01.12.2020.
- ქველაძე ქ., ხუსკივაძე მ. (2013). აგროტურიზმის გავლენა რეგიონების აგროეკოომიკურ პოლიტიკაზე. II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება". ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. გვ.484-490.
- შარაბიძე ნ. (2019). აგროტურიზმი, ტურიზმი სოფლად. გამომცემლობა აკაკი წერთლის სახლმწიფო უნივერსიტეტი.
- ჩიხლაძე ნ., დეისაძე ე. (2020). აგროპროდუქციის წარმოების შესაძლებლობები იმერეთის რეგიონში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. N2(16). გვ. 198-208. https://moambe.atsu.edu.ge/edition/gamocema16/358-.html;
- ჩიხლაძე ნ., კოღუაშვილი პ. (2019). „სოფლად ნუ ჩაკლავ სიცოცხლეს, ქალაქი წაგიხდებაო". ჟურნ. „ეკონომისტი",N4. http://ekonomisti.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge
- ჩიხლაძე ნ., ვალიშვილი თ. (2015). ქუთაისის ტურიზმის პოტენციალის და მისი შემოგარენის ტერიტორიის საკითხზე. ოვიდიუსის უნივერსიტეტის ანალიზი, სერია ეკონომიკური მეცნიერებები. 2015, ტ. 15 გამოცემა 1, გვ. 474-478. http://stec.univ-ovidius.ro/html/anale/ENG/2015/ANALE%20vol%2015_issue_1.pdf;

- ჩიხლაძე ნ., ვალიშვილი თ. (2015). ტურისტული სერვისების ბაზრის მარკეტინგული კვლევა საქართველოში. ჟურნალი "გლობალური და რეგიონული ეკონომიკის სამეცნიერო ინსტიტუტი" №1 (8) 2015 (ნაწილი 2). გვ.12-15
- ხარაიშვილი ე. (2018). აგრობიზნესისა და სოფლის განვითარების მოდელების დივერსიფიკაცია საქართველოში. IV საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია "თანამედროვე მენეჯმენტის სტრატეგიული იმპერატივები".
- ხარაიშვილი ე. (2016). აგროტურიზმის განვითარებისთვის მიმზიდველი რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება. უნივერსიტეტთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები" ახალციხე.
- ხარაიშვილი ე. (2017). აგროტურისტული ადგილების შეფასება ლანეს კრიტერიუმებით და მომიჯნავე დარგების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გეოგრაფიული მეცნიერება გლობალურ კონტექსტში: მიღწევები და გამოწვევები", ქუთაისი.
- ხარაიშვილი ე. (2011). სასურსათო პოტენციალი და აგროტურიზმის განვითარების პრიორიტეტები აჭარის მაღალმთიანეთში. საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი", ბათუმი.
- ხარტიშვილი ლ., სალუქვაძე გ., გუგუშვილი თ., ფაშალიშვილი ა. (2020). „საქართველოს აგროტურიზმის ბაზრის პოტენციალის შეფასება და ანალიზი", https://info.parlament.ge/file/1/BillPackageContent/29136;
- ჯიმშელაძე ე. (2019). რიზე - ჩაისა და აღმართების ჭრელაჭრულა სამფლობელო ყურისძირში. https://www.econews.ge/ka/news/602 / ბოლო ნახვა 10 დეკემბერი 2020.

References:

- Bedianashvili G. – regionaluri sotsialur-ekonomikuri sistemebi da kveqnis teritoriuli struktura adgilobrivi tvitmmartvelobisa da sametsarmeo sakmianobis modernizatsiis kontekstshi [Regional Social- Economic Systems and Territorial Structure of the Country in the Context of Modernization of Local Self-government and Entrepreneurial Activities.] Regional review research papers-14 (2018/2019). In Georgian. https://search.proquest.com/openview/8046330b21fa0fc6fc14a4ac6e46eb3b/1?pqorigsite=gscholar&cbl=2034462
- Vadachkoria M., Okrotsvaridze A., Okrotsvaridze L. (2011) turizmisa da maspindzlobis menejmenti. [Management of Tourism and Entertainment.] Tbilisi, pp.154-155. in Georgian.
- Kekoshvili D., Bakuradze N. (2016). agroturistuli sakmianobis utskhouri gamotsdileba da misi realizatsiis perspektivebi sakartveloshi. [Foreign Experience of Agro-tourism Activities and Prospects for its Implementation in Georgia.] Tbilisi Conference the Georgian National Tourism Administration: On the Topic, Prospects for Tourism Development in Georgia and world Experience. Tbilisi 2016, pp. 66. in Georgian.
- Kochlamazashvili I., Kakulia N. (2015). mechaieoba sakartveloshi: ghirebulebata jachvis analizi. [Tea Production in Georgia: Value Chain Analysis.] In Georgian. http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/TeaValueChainAnalysis_GEO.pdf/ Last seen 05.02.2021.
- Lobzhanidze M. (2010) ganvitarebis shemaperkhebeli paktorebi da gadachris gzebi. [Factors Hampering Agro-tourism Development and Ways for Settlement.] II International Scientific-Practical Conference – "Tourism: Economics and Business". Batumi Shota Rustaveli State University, Batumi. in Georgian.
- LEPL – Georgian National Tourism Administration, The number of tourist 2019-2020 Years, https://gnta.ge/ge;
- Sachaleli N., Koblianidze T. (2018). inovatsiebi agroturizmshi. [Innovations in Agritourism.] Conference Georgian National Tourism Administration "Development Perspectives of Tourism in Georgia and Strategic Objectives". Tbilisi. 2018, pp. 55. in Georgian.

- Sokhadze A., Mikanadze G., Mosiashvili T. (2018) chais turizmis ganvitarebis perspektivebi sakartveloshi [Prospects for the Development of Tea Tourism in Georgia.] Conference of Georgian National Tourism Administration "Development Perspectives of Tourism In Georgia and Strategic Objectives" Tbilisi. 2018, pp. 60. in Georgian.
- Tukhiashvili E. (2014). „damatebiti shansi mtsire permerebistvis". [Additional Chance for Small Farmers.] Kviris Palitra. N 5, Tbilisi. in Georgian.
- Pkhakadze T. (2020). agraruli turizmis khelshetsoba. [Promotion of Agrarian tourism.] In Georgian.
  https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/29156 / Last seen 01.12.2020;
- Kveladze K., Khuskivadze M. (2013) agroturizmis gavlena regionebis agroekoomikur politikaze. [The Impact of Agritourism on the Economic Policy of the Regions. II International Scientific-Practical Conference "Bioeconomy and Sustainable Development of Agriculture". Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi. 2013, pp.484-490. In Georgian.
- Sharabidze N. (2019). agroturizmi, turizmi soplad. [Agrotourism, Rural Tourism.] Publishing Akaki Tsereteli State University, Kutaisi. in Georgian.
- Chikhladze N., Deisadze E. (2020). agroproduktsiis tsarmoebis shesadzleblobebi imeretis regionshi. [Agricultural Production Opportunities in Imereti Region.] Akaki Tsereteli
- State University News, 2020, N2(16). Pages 198-208. in Georgian. https://moambe.atsu.edu.ge/edition/gamocema16/358--.html;
- Chikhladze N. Koguashvili P. (2019). „soplad nu chaklav sitsotskhles, kalaki tsagikhdebao" ["Don't Lose Life in Rural Areas, You Will Destroy the City"] (Expanded Summary). „Ekonomisti", N4. In Georgian http://ekonomisti.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge
- Chikhladze N., Valishvili T. (2015). kutaisis turizmis potentsialis da misi shemogarenis teritoriis sakitkhze. [ON THE ISSUE OF TOURISM POTENTIAL OF KUTAISI AND ITS SURROUNDING AREA.] Ovidius University Annals, Series Economic Sciences. 2015, Vol. 15 Issue 1, p474-478. in Georgian.
  http://stec.univ-ovidius.ro/html/anale/ENG/2015/ANALE%20vol%2015_issue_1.pdf
- Chikhladze N., Valishvili T. (2015). turistuli servisebis bazris marketinguli kvleva sakartveloshi. [The Marketing Research of the Tourism Service Market in Georgia]. Journal of the Scientific Institute of Global and Regional Economics №1 (8) 2015 (Part 2). pp.12-15. in Georgian
- Kharaishvili E. (2018). agrobiznesisa da soplis ganvitarebis modelebis diversipikatsia sakartveloshi. [Diversification of Agribusiness and Rural Development Models in Georgia, IV International Scientific and Practical Conference "Strategic Imperatives of Modern Management," 2018. in Georgian http://ir.kneu.edu.ua/bitstream/2010/24417/1/5348.pdf;
- Kharaishvili E. (2016). agroturizmis ganvitarebistvis mimzidveli regionebis konkurentunarianobis shepaseba. [Assess the Competitiveness of Regions Attractive for Agro-tourism Development.] Interuniversity Scientific Conference „Economic and business problems", Akhaltsikhe, 13-14 November 2016, in Georgian
- Kharaishvili E. (2017). agroturistuli adgilebis shepaseba lanes kriteriumebit da momijnave dargebis ekonomikuri ganvitarebis shesadzleblobebi. [Agrotouristic Areas Assessment with the Lane Criteria and the Possibilities for Economic Development of Related Sectors.] Conference: Geography in Global Context: Achievements and Challenges, Kutaisi, 3-4 June 2017; in Georgian
- Kharaishvili E. (2011). sasursato potentsiali da agroturizmis ganvitarebis prioritetebi acharis maghalmtianetshi. [Food Potential and Agro-tourism Development Priorities in the Highlands of Adjara.] International Scientific – Practical Conference, "Toutism: Economics and Business", Batumi 2011; in Georgian

- Khartishvili L., Salukvadze G., Gugushvili T., Pashalishvili A. (2020). "sakartvelos agroturizmis bazris potentsialis shepaseba da analizi". ["Assessment and analysis of the potential of the Georgian agro-tourism market". in Georgian https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/29136;
- Jimsheladze E. (2019) rize - chaisa da aghmartebis chrelachrula samplobelo qurisdzirshi. [Tea in Rize] in Georgian.
- https://www.econews.ge/ka/news/602 / Last seen 10 December 2020.

Foreign Experience of Agro-Tourism Development and Some Aspects of its Use in Georgia (Case of Lanchkhuti)

Murman Tsetskhladze
Associated Professor
Batumi Shota Rustaveli
State University
murman.tsetskhladze@bsu.edu.ge

Salome Sulaberidze
Doctoral Student in Business
Batumi Shota Rustaveli
State University
salome.sulaberidze@list.ru

The paper analyzes the foreign experience of agrotourism development and the possibilities of using it in Georgia, in particular, in one of the districts of Guria - Lanchkhuti.

The significant improvement of Lanchkhuti farmers and, in general, socio-economic conditions if its inhabitants is possible by means of creative appropriation of foreign experience by making it suitable for Lanchkhuti's potential possibilities, namely by merging new technologies of agriculture production with traditional methods, by improvement-refinement of service field, by implementing and perfecting advanced methods of production-processing-packaging-delivery.

It is possible through restaurants, baking shops, groceries arranged by farmers, where natural products produced by them is used to make various dishes, where raw products and semi-fabricates are sold, for instance, milk products of the farmer and etc. The farmer should be focused on the quality of production, as well as on its quantity.

For this to happen, it is necessary to determine agro touristic resources of Lanchkhuti municipality, to study local farmer economies and their agro touristic activity. Through various researches it turned out, that resources available in the municipality provide good precondition for the development of agrotourism, but being more active, more knowledge and more financial resource mobilisation is needed for the people working in this direction.

Through considering foreign experience and efficient use of the Lanchkhuti municipality resources, promoting development of agrotourism will give us the possibility to further develop agriculture, various directions of tourism. Infrastructure, objects of entertainment and domestic services will be created, which will further increase the possibility of employment for the people and will improve the economic condition of Guria region.

Keywords: *Farming agriculture, Agroproduction, Agrotourism, Agrotourist, Agroutouristic route, Tea-growing, Beekeeping, Tourism.*

JEL Codes: *L83, N50, P32, Q10*